ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №36

2017 წლის 4 აგვისტო

ქ. გორი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ვ" და „დ.ე" ქვეპუნქტების, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და დამტკიცდეს საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა დანართი №1-ის (თან ერთვის 1(ერთი) ფურცლად) შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №8 დადგენილება.

მუხლი 3

ეს დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ზურაბ როსებაშვილი**

დანართი №1

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

№	რანგი	კატეგორია	თანამდებობა	რაოდენობა	სარგო
1			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარე	1.0	2 750,00
2			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1.0	2 150,00
3			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5.0	1 500,00
4			პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2.0	1 500,00

5	I რანგი (მაღალი მმართველობითი დონე)	პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის თანამდებობა	საკრებულოს აპარატის უფროსი	1	1 490,00
6	II რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	1	800,00
7	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	11	580,00
8			შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის კონსულტირების, საკრებულოს აპარატის გამართული და ეფექტური მუშაობის სამართლებრივი უზრუნველყოფის; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი რედაქტირების საკითხებში	1	1 000,00
9			შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – ივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის კონსულტირების საკითხებში	1	1 000,00
10			შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის კონსულტირების საკითხებში	1	1 000,00
11			შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – საკრებულოს თავმჯდომარის სამუშაო გეგმებისა და დღის განრიგის მომზადების და დამეგობრებულ ქალაქებთან ურთიერთობის გაღრმავების უზრუნველყოფის საკითხებში	1	800,00